განკარგულება:**g-37.372208213**
თარიღი:**23/03/2022**

განკარგულება N12

23 მარტი 2022 წელი

ქ. ოზურგეთი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილების და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის და 26-ე მუხლების თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების : ნაგავმზიდის - (4X4) IVECO EUROCARGO ML 110E22W EE-901-TT 1 – (ღირებულებით - 331,000.00 ლარი), ნაგავმზიდის - (4X2) IVECO EUROCARGO ML 110EL22 LL-542-FF 1 – (ღირებულებით -278,990.00 ლარი), ნაგავმზიდის - (4X2) IVECO EUROCARGO ML 110EL22 LL-541-FF 1 - (ღირებულებით -278,990.00 ლარი), ნაგავმზიდი ავტომობილის - BMC TGR 2532 WBL YY-748-IY 1 - (ღირებულებით - 322,950.00 ლარი), თვითმცლელის - Ford Trucks 1833D DC (4X2) FQ-267-QF 1 - (ღირებულებით - 239,000.00 ლარი), თვითმცლელის - (4X4) IVECO EUROCARGO ML 150E25W EE-851-TT 1 - (ღირებულებით -332,540.00 ლარი) და 300 ერთეული 1100 ლიტრიანი პლასტმასის ნარჩენების განთავსების კონტეინერის (ღირებულებით -146,400.00 ლარი) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრი“-სთვის უსასყიდლოთ, პირდაპირი განკარგვის წესით, იურიდიული პირის არსებობის ვადით, სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით, გადაცემისათვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი